8 სექტემბერი, 2014 წ.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
სსიპ "ციფრული მაუწყებლობის სააგენტოსა" და
ააიპ "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს" შორის

სსიპ "ციფრული მაუწყებლობის სააგენტო", წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო ქუბინიძის სახით და ააიპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), მისი დირექტორის გიორგი კლდიაშვილის სახით, კეთილი ნების საფუძველზე დებენ წინამდებარე ურთიერთთთანამშრომლობის შეთანხმებას (მემორანდუმს):

1. მიზნები

1.1 წინამდებარე მემორანდუმის მიზანია დადგინდეს და გაუმჯობესდეს სამუშაო პროცესი და სსიპ "ციფრული მაუწყებლობის სააგენტოსა" (შემდგომში მოხსენიებული როგორც "სააგენტო") და ააიპ "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს"(შემდგომში მოხსენიებული როგორც IDFI) შორის.
1.2 სააგენტოს მიზნებია: ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სამუშაოთა კოორდინაცია, სოციალურად დაუცველი ოჯახების სუბსიდიებით ოპტიმალურად უზრუნველყოფა, ასევე ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობისათვის შესაბამისი დახმარების ოპერატიულად აღმოჩენა.

IDFI ახორციელებს პროექტს "**ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა**", რომლის დონორსაც წარმოადგენს **ფონდი ღია საზოგადოება საქართველო -OSGF. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ორგანიზაციის აქტივობის მიზნებია:**
- ციფრული საეთერო მაუწყებლობის პლატფორმაზე გადასვლის პროცესის დემოკრატიულ ჩარჩოებში და ქართული მედია ბაზრის ოპერატორების, ასევე ევროკავშირის დირექტივების და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად წარმართვა, ხარვეზების გამოვლენა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზების განსაზღვრა;
- ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის ტექნიკური, კონკურენციის და ეკონომიკური მიმართულებების პრობლემური მხარეების და ბარიერების აღმოფხვრა;
- არსებული პრაქტიკის და პროცესის რეგულირებისთვის მიღებული სამართლებრივი აქტების კვლევა და რეკომენდაციების წარდგენა და ადვოკატირება. საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ წინადადებების წარდგენა საქართველოს პარლამენტისათვის და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთვის.

1.3 წინამდებარე მემორანდუმი ადგენს მხარეთა ვალდებულებებს მოახდინონ ინფორმაციის გაცვლა მხარეებს შორის, რომელიც აუცილებელია მხარეებზე დაკისრებული ამოცანების განსასაზღვრავად და შესასრულებლად, პროცესის გამჭვირვალობისთვის, ფართო

საზოგადოების ხელმისაწვდომობისთვის და ადვოკატირების ეფექტურად განხორციელებისთვის.

1.4 საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულმა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სახელმწიფო სტრატეგიის პოლიტიკის დოკუმენტმა შექმნა შესაბამისი წინაპირობები და შესაძლებლობები ციფრულ საეთერო მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლისთვის. მხარეები ითანამშრომლებენ აღნიშნული სტრატეგიის რეალიზაციის შუალედური ანგარიშების მომზადების, ბოლო მოხმარებების საინფორმაციო უზრუნველმყოფი გზამკვლევების და ვიდეო რგოლების მომზადების, ბოლო მომხმარებლების საინფორმაციო კამპანიის შეფასების, ციფრული რისივერების კონცენტრაციის კვლევის მიმართულებებითაც.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1 სააგენტო უზრუნველყოფს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის იმ საკითხების სრული გამჭვირვალობაs, რომელიც დაკავშირებულია მისი უფლებამოსილების განხორციელებასთან;
2.2 თანამშრომლობა მოიაზრებს IDFI-ს ჩართულობას საჯარო კონსულტაციების და პროცესის მონიტორინგის პროცესში, მისი უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან.

2.2 IDFI ვალდებულია:
- მისი "**ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა**" პროექტის ფარგლებში მომზადებული ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ინტერნეტ გვერდი - www.digitaltv.ge -ს საიტზე ყველა უფლება, ისევე როგორც მისი მართვისთვის საჭირო ყველა მონაცემი და პროგრამული ინფორმაცია გადასცეს სააგენტოს;
- ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სარეკლამო კამპანიის მხარდაჭერის მიზნით მომზადებული სარეკლამო ვიდეო რგოლები, ასევე საავტორო უფლებები ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საინფორმაციო ვიდეო რგოლში გამოყენებულ მუსიკალურ ნაწარმოებზე გადასცეს საკუთრებაში სააგენტოს;
- გადასცეს სააგენტოს ყველა უფლებები დომენზე - www.digitaltv.ge.

3. ურთიერთთანამშრომლობა
მხარეები მოახდენენ თანამშრომლობას ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის იმ საკითხებზე, რომელიც შედის ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს უფლებამოსილებაში, მათ შორის ინფორმაციის გაცვლის, კონსულტაციების, იმ უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 13 თებერვლის №1-1/38 ბრძანებით დამტკიცებული ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს დებულებით.

4. შეთანხმებით გათვალისწინებული საქმიანობა განხორციელდება საზოგადოებრივ საწყისებზე, არაკომერციულ საფუძველზე, მხარეებს შორის ნებაყოფლობითი თანამშრომლობის გზით.

5. **მხარეები:**

ნინო ქუბრნიძე

სსიპ "ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს"
დირექტორი

გიორგი კლდიაშვილი

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტის (IDFI)
დირექტორი